



განხილულია:

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას

ადმინისტრაციული საბჭოს მიერ

ოქმი N11 15.06.2020 წ.

დამტკიცებულია:

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას

დირექტორის ბრძანებით N17 15.06.2020წ.

შესულია ცვლილება:

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას

დირექტორის ბრძანებით N40 02.02.2022წ.

შესულია ცვლილება:

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას

დირექტორის ბრძანებით N173 14.07.2022 წ.

დირექტორი

ვ.კვიციანი

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა

სტრატეგიის დოკუმენტი

2020-2027 წლები

## მისია

ჯანდაცვის მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების საუკუნოვანი ისტორიის მქონე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისიაა ადამიანური და მატერიალური რესურსის უწყვეტი განვითარების უზრუნველყოფის გზით, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, კვალიფიციური, კომპეტენტური კადრების მომზადება, მათი პიროვნული, პროფესიული განვითარება და დასაქმების ხელშეწყობა. ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მხარდაჭერის მიზნით, კოლეჯი ძირითადი პროფილის შენარჩუნებით, უზრუნველყოფს დაინტერესებული პირებისთვის შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიული საგანმანათლებლო ასევე, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების მოკლევადიანი პროგრამების შეთავაზებას.

## ხედვა

2027 წლისთვის საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა წარმატებული და კონკურენტუნარიანი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც ეროვნულ და საერთაშორისო ბაზარს მიაწოდებს კვალიფიციურ და კომპეტენტურ კადრს. კოლეჯის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი, ყველა პროგრამაზე, იქნება სულ მცირე 70%.

## ღირებულებები

- პროფესიონალიზმი;
- სამართლიანობა;
- გუნდურობა;
- პასუხისმგებლობა;
- ტრადიციებისადმი ერთგულება.

## შესავალი

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას (შემდგომში - კოლეჯი) 2020-2027 წლების სტრატეგიული გეგმის მიზანია განსაზღვროს სტრატეგიული მიმართულებები და ამოცანები, რომლებითაც კოლეჯი იხელმძღვანელებს მომავალი შვიდი წლის განმავლობაში.

წინამდებარე სტრატეგიული დოკუმენტის საშუალებით კოლეჯი უზიარებს დაინტერესებულ მხარეებს საკუთარ მისიას, განვითარების ხედვას, ორგანიზაციულ ღირებულებებს, სტრატეგიულ მიზნებს, ამოცანებს და მათი მიღწევის გზებს.

სტრატეგიული გეგმის შემუშავების მიზნით, კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე შეიქმნა სამუშაო ჯგუფი კოლეჯის დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. სამუშაო ჯგუფმა სტრატეგიული გეგმის შედგენისთვის გამოიყენა SWOT ანალიზის მეთოდოლოგია, რისთვისაც განახორციელა კოლეჯის შიდა საჭიროებების შეფასება და გარე ფაქტორების ანალიზი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კოლეჯის პერსონალთა მონაწილეობით გადაიხედა კოლეჯის არსებული მისია, ხედვა და ღირებულებები. სამუშაო პროცესი ასევე მოიცავდა სამთავრობო სტრატეგიული დოკუმენტებისა და ანგარიშების მიმოხილვას. კერძოდ, განხილული იყო შემდეგი სტრატეგიები: „საქართველოს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის 2019-2023 წლების ეროვნული სტრატეგია“ (საქართველოს მთავრობის დადგენილება N662 30.12.19), „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021“ (საქართველოს მთავრობის დადგენილება N533 7.12.17). პროცესში გათვალისწინებული იქნა კოლეჯის 2016-2022 წლების სტრატეგიული გეგმის შედეგებიც. დაინტერესებული მხარეების მოლოდინების გათვალისწინება მოხდა შემდეგნაირად: სამუშაო ჯგუფი ჩამოყალიბდა კოლეჯის შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობით; შემუშავებული სტრატეგიული გეგმის პროექტი დამტკიცებამდე განხილული იქნა დაინტერესებულ მხარეებთან ონლაინ შეხვედრების ფორმატში: კოლეჯის პერსონალი, ადმინისტრაციული საბჭოს მუდმივი წევრი - პროფესიული სტუდენტი, შპს აკად. „გ. ჩაფიძის სახ. გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი“ - წარმომადგენელი, სს „ევექსის ჰოსპიტლები“ - წარმომადგენელი, „პინეო სამედიცინო ეკოსისტემა“ - წარმომადგენელი, სს „გეფა“ - წარმომადგენელი, თბილისის „ბაგა-ბაღი N15“ - წარმომადგენელი, „D&KLAB ი.მ. დავით ყრუაშვილი“ - კბილის სატექნიკო ლაბორატორიის წარმომადგენელი. ჩატარებულ ონლაინ შეხვედრებს დაესწრო 60-მდე პირი. ჩატარებული შეხვედრების დასრულების შემდეგ კოლეჯის სტრატეგიულ დოკუმენტებში გათვალისწინებული იქნა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი. დამტკიცებული სტრატეგიული გეგმა განთავსებულია კოლეჯის ვებ. გვერდზე.

## SWOT ანალიზი

### ძლიერი მხარეები

- პასუხისმგებლიანი და მოტივირებული ადამიანური რესურსი;
- კურსდამთავრებულთა და პროფესიულ სტუდენტთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი ( სულ მცირე 70%);
- პროფესიულ სტუდენტზე/მსმენელზე მორგებული, მოქნილი სასწავლო პროცესი;
- პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- მართვის მოქნილი სისტემა;
- დამსაქმებელი/პარტნიორი ორგანიზაციების ფართო ქსელი;
- თანამედროვე მატერიალურ - ტექნიკური ბაზა;
- საერთაშორისო თანამშრომლობის გამოცდილება;
- პროფესიული განათლების განხორციელების საუკუნოვანი გამოცდილება.

### სუსტი მხარეები

- არასაკმარისი მარკეტინგული და პიარ ღონისძიებები.

### შესაძლებლობები

- პერსონალის პროფესიული განვითარების მხარდაჭერა და წახალისება;
- ექსტრაკურსული აქტივობების მხარდაჭერა და წახალისება;
- შრომის ბაზრის მოთხოვნიდან გამომდინარე მოკლევადიანი პროგრამების დამატება;
- საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება;
- ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ოპტიმალურად გამოყენება.

### საფრთხეები

- სასწავლო პროცესის შეფერხების საფრთხე, პანდემიის ფონზე.

კოლეჯის 2020-2027 წლების სტრატეგიული გეგმა

სტრატეგიული მიზანი 1. შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება მრავალფეროვანი პროფესიული პროგრამებით									
სტრატეგიული ამოცანები	განხორციელების წლები								შესრულების ინდიკატორი
	2020	2021	2022	2023	2024	2025	2026	2027	
1.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპექტრის გაფართოება შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად									2027 წლისთვის დამატებული თანამედროვე გამოწვევებსა და საჭიროებებზე მორგებული, მინიმუმ სამი ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
1.2. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განვითარება შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად									2027 წლისთვის დამატებული პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების მინიმუმ სამი პროგრამა
1.3. ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა									2027 წლისთვის დანერგილი მინიმუმ ერთი ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
1.4. გაცვლითი/ერთობლივი პროგრამების განვითარება									2027 წლისთვის გაფორმებული ხელშეკრულებები საერთაშორისო პარტნიორებთან და მინიმუმ ერთი განხორციელებული გაცვლითი პროგრამა

1.5. პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდა										2027 წლისთვის პროფესიული სტუდენტების გაზრდილი რაოდენობა მინიმუმ ერთ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე
---	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

სტრატეგიული მიზანი 2. ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება										
სტრატეგიული ამოცანები	განხორციელების წლები								შესრულების ინდიკატორი	
	2020	2021	2022	2023	2024	2025	2026	2027		
2.1. ინოვაციური სწავლა/სწავლების მეთოდების დანერგვა										დანერგილი ინოვაციური მეთოდები; დანერგილი სასწავლო პლატფორმები; გადამზადებული ადამიანური რესურსი
2.2. მოქმედი პროგრამების განვითარება										ჩატარებული კვლევის (უკუკავშირის მეთოდით) შედეგები. პროგრამებში შეტანილი ცვლილებები
2.3. საგანმანათლებლო რესურსების განვითარება										განახლებული წიგნადი ფონდი; მოძიებული ელექტრონული რესურსები
2.4. პარტნიორული ქსელის განვითარება/გაფართოვება										პარტნიორთა გაზრდილი რაოდენობა და გაფორმებული ხელშეკრულებები

სტრატეგიული მიზანი 3. კოლეჯის ინსტიტუციური მდგრადობის უზრუნველყოფა მატერიალური, საინფორმაციო რესურსების განვითარებისა და ფინანსური რესურსების დივერსიფიკაციის გზით										
სტრატეგიული ამოცანები	განხორციელების წლები								შესრულების ინდიკატორი	

	2020	2021	2022	2023	2024	2025	2026	2027	
3.1. ტექნიკური აღჭურვილობისა და ინფრასტრუქტურის პერიოდული განახლება									გეგმიურად განახლებული ინფრასტრუქტურა; შეძენილი/განახლებული ინვენტარი; შესყიდვების/მომსახურების გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
3.2. კოლეჯის მართვის სისტემის განვითარება									ჩატარებული ტრენინგები კოლეჯის პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება; განახლებული მარეგულირებელი დოკუმენტები
3.3. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება									კოლეჯის პერსონალისათვის, პროფესიული სტუდენტებისათვის /მსმენელებისათვის მოქნილი და მისაღები საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვა
3.4. ტრენინგ ცენტრის განვითარება									ჩატარებული ტრენინგების/ მასტერკლასების რაოდენობრივი ზრდა და პერიოდულად ხარისხის კონტროლი (მეტწილად დამყარებული უკუკავშირზე)
3.5. ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტების განხორციელება									განხორციელებული პროექტების ამსახველი დოკუმენტაცია
3.6. ფინანსური მდგრადობის მიზნით დაფინანსების სხვადასხვა წყაროების მოძიება									სხვადასხვა ფინანსურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობა და ინფრასტრუქტურის ოპტიმალურად გამოყენება

სტრატეგიული მიზანი 4. პროფესიული სტუდენტებისთვის შეთავაზებული სერვისების განვითარება										
სტრატეგიული ამოცანები	განხორციელების წლები								შესრულების ინდიკატორი	
	2020	2021	2022	2023	2024	2025	2026	2027		
4.1. პროფესიული სტუდენტური წარმომადგენლობითი საბჭოს ფუნქციონირების ხელშეწყობა										წარმომადგენლობითი საბჭოს შეხვედრის ოქმები
4.2. პროფესიული სტუდენტების პროფორიენტაციისა და კარიერული წინსვლის სერვისების განვითარება										პროფესიული სტუდენტებისთვის გაწეული ინდივიდუალური კონსულტაციები/ პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა (უკუკავშირის მეთოდით), დასაქმებულ პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მაჩვენებელი; პროფორიენტაციის და პროფესიულ სტუდენტთა კარიერული წინსვლის მიზნით ჩატარებული ღონისძიებები
4.3. ექსტრაკურიკულური აქტივობების განვითარება										ჩატარებული პროექტებისა და ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტაცია
4.4. პროფესიულ სტუდენტთა ცნობიერების ამაღლება ჯანდაცვისა და უსაფრთხოების ღონისძიებების შესახებ										შრომის უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის მიმართულებით განხორციელებული ტრენინგების და ვორკშოპების ამსახველი დოკუმენტაცია
4.5. სსსმ პირებისთვის დამატებითი სერვისების შეთავაზება										2027 წლისთვის სსსმ პირებზე სრულად ადაპტირებული სასწავლო ინფრასტრუქტურა და სხვა სერვისები

სტრატეგიული მიზანი 5. ადამიანური რესურსების განვითარება



სტრატეგიული ამოცანები	განხორციელების წლები								შესრულების ინდიკატორი
	2020	2021	2022	2023	2024	2025	2026	2027	
5.1. პერსონალის საქმიანობის შეფასება									ჩატარებული კვლევა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შეფასებითი კვლევის ანგარიში
5.2. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის განვითარება									ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერის მიერ განხორციელებული საქმიანობის ანგარიშები
5.3. ადამიანური რესურსების შესაძლებლობის გაძლიერება									კოლეჯის პერსონალისათვის ჩატარებული ტრენინგები, მასტერკლასები და ვორკშოპები საჭირო უნარ-ჩვევების განსავითარებლად და მათი ამსახველი დოკუმენტაცია

### სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება

კოლეჯის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმების შეფასება და მონიტორინგი ხორციელდება შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად.